აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 17

10 ივნისი 2004 წ ქ ბათუმი

სხდომას
თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა

სხდომას
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გიზო მჭედლიძე, გუგული დუაძე, გულნარა ბზიკაძე, სერგო დუმბაძე, ლევან ჩავლეიშვილი, სიმონ ჩხაიძე, მამუკა წულუკიძე, ქეთევან ჯიქია

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კომისიას განსახილველად წარმოუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე -9
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ხმის მიცემის წესის შესახებ;

2. განკარგულება ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" რეგისტრაციაში გატარების შესახებ;

3. განკარგულება კავშირის "ახალგაზრდები ახალი საქართველოსთვის" დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციაში გატარების შესახებ;

4. სხვადასხვა

1. სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ხმის მიცემის წესის შესახებ;

მოისმინეს: მსჯელობა სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ხმის მიცემის წესის შესახებ წარადგინა კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ. მან აღნიშნა, რომ სასაზღვრო ჯარების დეპარტამენტმა მოგვმართა წერილით, რათა დეპარტამენტის მოსამსახურეებმა-აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირებმა მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში. სიტყვით გამოვიდა კომისიის წევრი გიზო მჭედლიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მიხედვით არ არის დაზუსტებული წესი და ეს უზუსტობა მომავალში აღმოიფხვრება. აგრეთვე, სამხედრო მოსამსახურეები, რომელთა რაოდენობაც დისლოკაციის შენაერთში 50-ზე მეტია, გაიხსნას უბანი კანონის შესაბამისად.

სიტყვით გამოვიდა კომისიის წევრი სიმონ ჩხაიძე. მან განმარტა, რომ ის სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მსახურობენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუდმივი დისლოკაციის ადგილებში, ის არის ამომრჩეველი იმ ოლქისა, სადაც მსახურობენ და ისინი მიიღებენ მონაწილეობას როგორც პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში, ისე მაჟორიტურული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში. ხოლო სამხედრო შენაერთი, რომლის დისლოკაციის ადგილი არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია და მსახურობენ სხვაგან, ისინი მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში. ასევე დასძინა მან, რომ თუ გავითვალისწინებთ გ. მჭედლიძის მოსაზრებას უბნების გახსნის თაობაზე, მაშინ დღევანდელ დადგენილების პროექტს უნდა დაუმატოთ მუხლი, რომლის თანახმადაც სამხედრო მოსამსახურეები სამხედრო ნაწილის მეთაურის წარდგინებით შეიყვანებიან შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიაში. სიტყვით გამოვიდა გ. მჭედლიძე, რომელმაც გამოთქვა საკუთარი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სამხედრო შენაერთი, სადაც სამხედრო მოსამსახურეები 50-ზე მეტია, გაიხსნას უბანი. კამათში მიიღო მონაწილეობა კომისიის წევრებმა:მ. წულუკიძემ, ლ. ჩავლეიშვილმა. გამოითქვა აზრი იმის შესახებ, რომ ეს ძალიან სერიოზული საკითხია და ეს საკითხი უნდა გახდეს დამატებითი მსჯელობის საგანი.

დაადგინეს: მომდევნო სხდომაზე გაგრძელდეს მსჯელობა წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით.

2. განკარგულება ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" რეგისტრაციაში გატარების შესახებ;

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" რეგისტრაციაში გატარების შესახებ

აზრი გამოთქვეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ აღნიშნა, რომ ეს ორგანიზაცია დაარსდა 1994 წელს, თან ერთვის იურიდიული სამსახურის მიერ მომზადებული დასკვნა , რომ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" მიერ წარმოდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია სრულად აკმაყოფილებს "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 72- მუხლის მე-2 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე -9
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

3. განკარგულება კავშირის "ახალგაზრდები ახალი საქართველოსთვის" დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციაში გატრების შესახებ;

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი კავშირის "ახალგაზრდები ახალი საქართველოსთვის" დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციაში გატარების შესახებ.
ეს ორგანიზაცია დაარსდა 2000 წელს, თან ერთვის იურიდიული სამსახურის მიერ მომზადებული დასკვნა , რომ კავშირის "ახალგაზრდები ახალი საქართველოსთვის" მიერ წარმოდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია სრულად აკმაყოფილებს "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 72- მუხლის მე-2 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე -9
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ი. ფაღავა
კომისიის მდივანი	გ. მჭედლიძე